

თემა 7

7.1. ისტორიული ენათმეცნიერება

ენა არ წარმოადგენს ერთხელ და სამუდამოდ მოცემულ უცვლელ ობიექტს, არამედ ის დინამიური მოვლენაა, რომელიც ცვლილებებს განიცდის.

მაგალითად, 800 წლის წინ შუაზემოგერმანულში ანუ გერმანული ენის უფრო ადრინდელ სტადიაში სიტყვა cranc/krank არ ნიშნავდა არაჯანმრთელს, ავადმყოფს, არამედ მას ჰქონდა schlank- თხელი, ლამაზი აღნაგობის მნიშვნელობა. ზმნაში backen- buck ე.წ. ძლიერი ფლექსია ანუ აბლაუტი წარსული დროის გამოსახატავად თითქმის აღარ გამოიყენება, რადგან დღევანდელი ენის ნორმებს სუსტი ფორმა უფრო შეესაბამება სწორედ ამ ზმნაში (backen-backte-gebacken).

ამრიგად: cranc= schlank

Cranc>hinfällig

Weib>Frau

სილამაზის იდეალი მე-13 საუკუნიდან შეიცვალა: სიტყვამ ცრანც მიიღო ნეგატიური დატვირთვა ამ ერთეულის ენაში მასიური გამოყენების ანუ მეტყველების პროცესში, რამაც ზეგავლენა მოახდინა მეტყველების სისტემაზე.

ასვე მოხდა სიტყვასთან einvaltec = aufrichtig მიმართებაში: ადრეულ შუა საუკუნეებში ბერები სიტყვას სიმპლეს გამოიყენებდნენ ისეთი ადამიანის გულის აღსანიშნად, რომელსაც ერთი ნაოჭი აქვს და რომელიც ღვთის გამოცხადების ფაქტს დაიტევდა მხოლოდ, ისე რომ მეტი ადგილი აღარ დარჩებოდა (სხვა ნაოჭის/ სხვა რამის) დასატევად მის გულში. მაგრამ დროთა განმავლობაში, როცა ქალაქები განვითარდა გერმანიაში და ვაჭრობაც მათთან ერთად ამგვარმა აღნიშვნამ მიიღო ნეგატიური შეფერეილობა, რადგან ადამიანი ერთი ნაოჭით გულში არ შეიძლებოდა კარგი ვაჭარი ყოფილიყო.

ამრიგად თავდაპირველად einvaltig ნიშნავდა გულწრფელს – aufrichtig, ხოლო შემდგომ და დღესაც ის ნიშნავს შეზღუდულს – einfältig.

მნიშვნელობის ცვლილება – **Bedeutungswandel** წარმოადგენს მეტყველების ზეგავლენის ფაქტს ენის სისტემაზე, რაც იმას მოწმობს, რომ ამა თუ იმ ენის (ამ შემთხვევასი გერმანული ენის) მრავალი გამომყენებელი/ მრავალი მეტყველი გარკვეული დროის მონაკვეთში, გარკვეულ სიტუაციაში სისტემიდან გადაირჩევს ღირებულებას და ნიშანთან გარკვეული მნიშვნელობის კავშირს ანიჭებს

უპირატესობას დღეს აღარ არსებობს: Meines Bruders Fahrrad არამედ: das Fahrrad von meinem Bruder an das Fahrrad meines Bruders.

დღეს შეინიშნება ტენდენცია ნორმად იქცეს: Ich erinnere dieses Ereignis noch sehr gut ნაცვლად ახლა მოქმედი ზმნის კორექტული მართვისა: Ich erinnere mich an dieses Ereignis noch sehr gut.

ისტორიული ენათმეცნიერების საგანი

ამრიგად, ენა მთელი თავისი არსით და გამოვლინებებით იქცევა კვლევის ობიექტად. ეს ნიშნავს რომ ენათმეცნიერების როგორც მეტაენის, ანუ მეორე რიგის მეცნიერების (ანუ მეცნიერების, რომელიც იკვლევს ბუნებრივ ენას) ცენტრალური ამოცანაა განსაზღვროს, რას წარმოადგენს ენა, რას ნიშნავს ენა, რა ფენომენები რა ნიშნით შეიძლება იყოს განსაზღვრული როგორც ენობრივი და როგორ მიმართებაში არიან ისინი ერთმანეთთან. ასწორედ ამ საკითხებს პასუხობენ ე.წ. ენობრივი თეორიები.

იმის და მიხედვით, თუ რომელი შეხედულებები იყო აქტუალური ამა თუ იმ დროს, იცვლებოდა შეხედულებები ენის ისტორიაზე.

რას შეიძლება სწავლობდეს ენის ისტორია?

ამ კითხვას შეიძლება სხვადასხვაგვარი პასუხი გავცეთ.

7.2. ენის სინქრონული და დიაქრონული აღწერა

სოსიურმა დაამკვიდრა ენობრივი ერთეულების კვლევის დროს სინქრონიისა და დიაქრონიის ასპექტების ფუძემდებლური განსხვავება/ ოპოზიცია, რომლებიც ორ სხვადასხვა დროით ღერძზეა განთავსებული: სინქრონიული ენათმეცნიერება განიხილავს, ასე ვთქვათ, ერთ გარკვეულ დროით ჭრილს, იკვლევს ენობრივ ერთეულებს ერთ გარკვეულ ისტორიულ მომენტში (მაგ., თანამედროვე გერმანული ენა, ან თუნდაც გერმანული ენა 1850 წელს) და ა.შ. ხოლო დიაქრონიული ენათმეცნიერება განიხილავს ენობრივ ფენომენებს (მოვლენებს) როგორც გარკვეული პროცესების რეზულტატს: იგი იკვლევს ენობრივი ერთეულების წარმოშობისა და მათი თვისობრივი განვითარების გზას.

სინქრონიული ენათმეცნიერება დაკავებულია სოსიურის მიხედვით ენების სისტემებით, ხოლო დიაქრონიული ენათმეცნიერება უპირველეს ყოვლისა ცალკეული ფენომენებით, რომელთა განვითარება და ცვლილებები დაკვირვების, (დესკრიფციის) აღწერის და განმარტების ობიექტი ხდება. ერთი მხრივ დიაქრონიული კვლევა, ისტორიული ცვლილებების დადგენა შეუძლებელია სინქრონიული ასპექტის გათვალისწინების გარეშე, რადგან ცალკეული ფენომენების ფუნქცია და ღირებულების შეცნობა შესაძლებელია

მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გათვალისწინებულია ენის მთლიანი სისტემა. მეორე მხრივ, მართალია უმეტეს შემთხვევებში, სინქრონული კვლევები შესაძლოა დიაქრონიულიაგნ დამოუკიდებლად განხორციელდეს, მაგრამ არსებობს სისტემის ისეთი ფენომენები, რომლებიც გარკვეული დროის მომენტისთვის შესაძლოა ვერ იქნას სრულყოფილად შესწავლილი და განმარტებული, თუკი ამ ერთეულების წარმოშობასა და განვითარების გზას არ ვიცნობთ (მაგალითად, სიტყვათა ნასესხობები, სხვა ენებიდან ან გერმანული ძლიერი და სუსტი ზმნების კლასიფიკაციის თავისებურებები და ა.შ.),

სინქრონული და დიაქრონული მიდგომები მოითხოვენ თავის საკუთარ თეორიულ მეთოდებს, რამაც გარკვეული შედეგები გამოიღო მე-20 საუკუნის ენათმეცნიერებისთვის.

ამრიგად, ენის ისტორიული კვლევა მხოლოდ ენობრივი მდგომარეობის სინქრონული აღწერით ვერ შემოიფარგლება. თანამედროვე ენობრივი მდგომარეობის გარკვეული თავისებურებების ასახსენალადაც ჩვენ ხშირად ენის ისტორიის მოშველიება გვჭირდება. მაგალითად, მხოლოდ ენის სინქრონული აღწერით ვერ ავხსნით შეუსაბამობებს გერმანულ ფონემურ და გრაფემურ სისტემებში. ჩვენ ვიცით, რომ ეს შეუსაბამობები სიტყვების ბგერითი სტრუქტურის ისტორიული ცვლილებებით არის გამოწვეული. ასევე ის ფაქტიც, რომ თანამედროვე გერმანულში ერთმანეთის პარალელურად ზმნის უღლების ორი – ძლიერი და სუსტი ფორმა არსებობს (*machen-machte-gemacht vs. laufen-lief gelaufen*), გერმანული ენის ისტორიული განვითარებით არის განპირობებული: ძველ და საშუალო ზემოგერმანულში ფლექსია აბლაუტის (ფუძისეული ხმოვნის ცვლილების) მეშვეობით ხდებოდა, რაც შემდეგ ნაწილობრივ სუფიქსურმა წარმოებამ ჩაანაცვლა ან მაშინ, როდესაც გვანტერესებს, თუ რით არის გამოწვეული რომელიც სიტყვა არბეიტ საშუალო გერმანულში მხოლოდ მძიმე შრომას გულისხმობდა ახლა კი მისი თანამედროვე შესატყვისი არბეიტ ყველა სახის შრომით საქმიანობას აღნიშნავს, აუცილებლად დაგვჭირდება ენის განვითარების სხვადასხვა საფეხურის შესწავლა.

ერთი სიტყვით, ენის ისტორია სწავლობს ასევე ენობრივ ცვლილებებს, მიმართებას ენის განვითარების სხვადასხვა საფეხურებს შორის. ენობრივი კვლევის ამ ტიპს, როგორც იცით, ენის დიაქრონული აღწერა ეწოდება.

ენის ისტორიული აღწერას, ან ისტორიულ ლინგვისტიკას უპირატესად კვლევის დიაქრონულ მოდელთან აკავშირებენ. ეს (სხვა ობიექტურ ფაქტორებთან ერთად) ენათმეცნიერების განვითარების თავისებურებებთან არის დაკავშირებული: ლინგვისტიკის დამოუკიდებელ მეცნიერულ დისციპლინად ჩამოყალიბება დაკავშირებული XIX ს-ის პირველი ნახევრის ისტორიულ შედარებით ენათმეცნიერებასთან, რომელსაც საფუძვლად ედო იდეა ინდოევროპული (ინდური, ირანული და ევროპული ენების უმრავლესობის) ნათესაობის (საერთო წარმომავლობის) შესახებ: მიიჩნეოდნენ, რომ ინდოევროპული ენები საერთო ფუძე-ენიდან იყო წარმოშობილი. შესაბამისად ენის კვლევის ამ მიმართულებისთვის ინტერესს უფრო ძველი ენები და ენების განვითარების სხვადასხვა საფეხური იწვევდა.

რადგან ენობრივი ნათესაობის დასასაბუთებლად გაცილებით ობიექტური კრიტერიუმები იყო საჭირო, ამიტომ ამ პერიოდში ენის სტრუქტურის შესწავლამ უფრო ინტენსიური ხასიათი მიიღო ვიდრე ენის ფილოსოფიური ან ლოგიკური აღწერის შემთხვევაში.).

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პრაქტიკაში ენის სინქრონული და დიაქრონული აღწერის მკვეთრი გამიჯვნა შეუძლებელია. კვლევის ორივე ფორმა მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან: ჩვენ არ შეგვიძლია გამოიკვლიოთ დროის ისეთი მცირე მონაკვეთი, რომლისთვისაც ენობრივი ცვლილებები საერთოდ არ იქნება დამახასიათებელი; ამის გარდა, როგორც გერმ. ფრანგ. და ინგლისური გრაფემული და ფონემური სისტემის მაგალითზეც გამოჩნდა, ხშირად შეუძლებელია ენის განვითარების რომელიმე საფეხურისთვის დამახასიათებელი თავისებურებების ახსნა მხოლოდ ენის სინქრონული აღწერის საფუძველზე.

ასევე შეუძლებელია ენის განვითარების, ცვლილებების შესწავლა ცალკეული სინქრონული ენობრივი მდგომარეობის აღწერის გარეშე.

ამრიგად, ისტორიული ენათმეცნიერება ენას იკვლევს როგორც დიაქრონული ისე სინქრონული თვალსაზრისით (თუმცა უპირატესობა ბუნებრივია დიაქრონულ აღწერას ენიჭება). ის სწავლობს ენის განვითარების კონკრეტულ საფეხურებს, მათ მიმართებას ერთმანეთთან; ასევე იკვლევს ენობრივ ცვლილებებს (სხვადასხვა დონეზე: მორფოლოგიურ, ფონეტიკურ, ლექსიკურ, სემანტიკურ ცვლილებებს), მიზეზებსა და კანონზომიერებებს, რაც ამ ცვლილებებს უდევს საფუძველად.

7. 3. ენა როგორც ცოცხალი ორგანიზმი

თანამედროვე ენათმეცნიერების გარიჟრაჟზე (მე 19. საუკუნის დასაწყისში) გამეფებული იყო ის შეხედულება, რომ ენა ორგანიზმს წარმოადგენს. ამ აზრისა იყვნენ ისეთი მეცნიერები როგორც იყვნენ იაკობ გრიმი (1785-1863), ფრანც ბოპი (1791-1867), ავგუსტ შლაიხერი (1821-868), მაქს მიულერი (1823-1900) და სხვ. ისინი ენას წარმოადგენდნენ როგორც ცოცხალ არსებას, რომელიც წარმოიშობა ანუ იზადება, ვითარდება (აყვავების ხანა) და კვდება (როგორც ეს „მკვდარ ენების“ ლათინურის და ძველი ბერძნულის შემთხვევაში მოხდა).

დღეს ასეთი რომანტიკული შეხედულებების კვალს ვხვდებით ისეთ აღნიშვნებში როგორც არის „ძლიერი“ და „სუსტი“ ფლექსია, „ძირი“, „ფუძე“ და სხვ. მრ. წარმოდგენა, რომ ენა დამოუკიდებელი და თვითმყოფადი, საკუთარი ცხოვრებით ცხოვრობს იქცა მთელი რიგი თეორიების საფუძველად. ასე ვილჰელმ ვონ ჰუმბოლდტი (1767-1835) და ფრიდრიხ შლეგელი (1772-1829) ლაპარაკობენ (Innere Sprachform) რომლითაც ისინი თავისებურ სულიერ ანუ გონით ძალას აღნიშნავენ, თავისთავად ენის ფორმას რომ განაპირობებს, მის სტრუქტურას

ქმნის და მართავს. ამ წარმოდგენას ხელი შეუწყო შეხედულებამ, რომ ცალკეული ადამიანი ენის ზოგად განვითარებაზე გავლენას ვერ მოახდენს.

ჯერ კიდევ ფრანც ბოპი ნაშრომში ვოკალიზმი და იაკობ გრიმის გერმანული გრამატიკის შედარებითი კრიტიკა (Vocalismus oder sprachvergleichende Kritiken über J.Grimms Deutsche Grammatik) აღნიშნავდა, რომ ენები ორგანულ ბუნებრივ ორგანიზმებად უნდა განიხილებოდნენ, რომლებიც გარკვეული კანონების მიხედვით იქმნებიან, ისე რომ თავის თავში შინაგანი ცხოვრების პრინციპის მატარებელნი არიან და ამდენად ვითარდებიან და თანდათან კვდებიან: Die Sprachen sind nämlich als organische Naturkörper anzusehen, die nach bestimmten Gesetzen sich bilden, ein inneres Lebensprinzip in sich tragend sich entwickeln, und nach und nach absterben...

მაგრამ ენის როგორც ბუნებრივი ორგანიზმის შესახებ ჩამოყალიბებული თეორია ენათმეცნიერებაში ნატურალისტური სკოლის წარმომადგენლებთან, უპირველეს ყოვლისა იენის უნივერსიტეტის პროფესორის სახელთან ავგუსტ შლაიხერთან არის დაკავშირებული. მისი მეცნიერული მოღვაწეობა მეტად მრავალმხრივი და ფართო იყო. მისი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაშრომი გრამატიკის სფეროში იყო „საეკლესიო სლავურის მორფოლოგია“ („Morphologie der kirchlichslavischen Sprache“ 1855-57), „ინდოევროპული ენების შედარებითი გრამატიკის კომპენდიუმი“ („Kompenium der vergleichenden Grammatik mder indoeuropäischen Sprache) და „ინდოევროპული ენების ქრესტომათია“ მისი ნატურალისტური შეხედულებები არეკლილია მის გვიანდელ ნაშრომებში „დარვინის თეორია და მეცნიერება ენის შესახებ“(1864) და „ენის მნიშვნელობა ადამიანის ბუნებრივი ისტორიისთვის“ (1865), ხოლო თეორიული შეხედულებები ნაშრომში „გერმანული ენა“. შლაიხერი მრავალმხრივი ლინგვისტი იყო, რომელიც მუშაობდა ინდოევროპული ენების პრობლემებზე, იგი ამავე დროს იყო ბოტანიკოსიც, რომელზეც დარვინის თეორიამ „სახეობების წარმოშობის შესახებ“ დიდი გავლენა იქონია. თავის ნაშრომში „დარვინის თეორია და მეცნიერება ენის შესახებ“ იგი წერდა, რომ დარვინის თეორია შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო „ენების ორგანიზმების“ მიმართ. მისი აზრით ენების ჯგუფები და ქვეჯგუფები ისეთივეა, „როგორც ბუნებრივი ორგანიზმების სფეროში“. ძუფრო მეტიც: „ერთი და იგივე გვარის სახეობებს ენათმეცნიერებაში უწოდებენ ამა თუ იმ ხალხთა ტომების ენებს“. ქვესახეობებს კი იგი გარკვეული ენის დიალექტებს ადარებდა, ხოლო ცალკეულ პირთა მეტყველებას მისი აზრით „ცალკეულ პირთა გამოხატვის მანერა“ შეესაბამებოდა და ა.შ. შლაიხერმა ენას მიუსადაგა აგრეთვე „სახეობების სახეცვლილების კანონი“, რომლის მიხედვითაც ის ენები, რომლებიც შეძლებდნენ წარმოედგინათ ერთი გვარის სახეობები აღიარებული უნდა იყვნენ როგორც

ერთი, ძირითადი ან საერთო ენის შვილები, რომლიდანაც ისინი წარმოიშვნენ თანდათანობითი სახეცვლილების გზით.

შლაიხერის აზრით ენათმეცნიერებაში უფრო ადვილად შეიძლება დავაკვირდეთ ენების განვითარების გზას, დავადგინოთ ახალი ფორმების განვითარების პერიოდები, ვიდრე ეს შესაძლებელია ცოცხალი ორგანიზმებისა და მცენარეების სფეროში. ზოგიერთი ენების დამწერლობის ძეგლების არსებობა ხელს უწყობს მათზე დაკვირვებას თითქმის ორი ათასწლეულის პერიოდში. მაგვუსტ შლაიხერს მოჰყავს სანსკრიტი და ლათინური. ცნობილია არა მხოლოდ ეს ძველი ენების არამედ მათგან წარმოშობილი ახალი ინდური და რომანული ენები. აავგ. შლაიხერი ამბობს: „რომ არ ყოფილიყო დამწერლობა, არავის თავში აზრადაც არ მოუვიდოდა, რომ ისეთი ენები როგორც არის რუმინული, გერმანული, ფრანგული ერთი და იგივე ენიდან - ინდოევროპულიდან წარმოიშვა (Ursprache).

შლაიხერი ცდილობს გამოავლინოს ენობრივი ფაქტების სახეცვლილება ენაში. გგამოავლინოს ენის წარმოშობისა და განვითარების ზოგადი კანონები. ამასთან იგი ეყრდნობა ცოცხალი და მცენარეთა სამყაროს განვითარების კანონებს: „ისევე როგორც მთელი სამყარო ერთუჯრედიანი ორგანიზმებიდან წარმოიშვა, ასევე მსოფლიო ენები წარმოსობილი არიან ისეთი უმარტივესი ენებისგან, რომლებშიც ჯერ არ არსებობს სპეციალური ბგერითი გამობტვა გრამატიკული ფორმისა. ბგერითი გამოხატულება არ გააჩნიათ არც ზმნებს, არც სახელებს, არ არსებობს ასეთ ენებში არც უღლილება და არც ბრუნება. ამიტომ შლაიხერი ძირისეულ ენებში წარმოდგენილ ძირებს მარტივ უჯრედებს უწოდებს, რომელთაც გარამატიკული მნიშვნელობა არ გააჩნიათ, მატ არ გააჩნიათ ზმნა და სახელი, ანუ არ გააჩნიათ ორგანოები. ხოლო მათი ფუნქციები (გრამატიკული მიმართებები) ამდენად უმნიშვნელოდ განსხვავდება ერთმანეთისგან, როგორც ერთუჯრედიან ორგანიზმების სუნთქვისა და საჭმლის მომნელებელი ფუნქციები. ამიტომ, ამბობს შლაიხერი: „ჩვენ ყველა ენისთვის მივიღებთ ერთ წარმომავლობას ფორმის მიხედვით“.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ შლაიხერის აზრით, მსოფლიოს ყველა ენა უბრალო ძირებისგან წარმოიშვა. ამასთან, როგორც იგი აღნიშნავს, ბგერითი მასალაც, რომლისგანაც ისინი შედგებიან და მნიშვნელობა, რომელსაც ისინი გამოხატავენ, ასეთ ენებზე მოლაპარაკე ადამიანებს განსხვავებული ჰქონდათ, რადგან ისინი სახვადასხვა ბუნებრივ პირობებში ცხოვრობდნენ. იგი წერს: „ენათა განსხვავებულობა პირდაპირ შეესაბამებოდა ადამიანთა ცხოვრების პირობებს“. აქედან, წერს შლაიხერი: “ხალხთა ენები, რომლებიც მეზობლად ცხოვრობდნენ უფრო გავს ერთმანეთს, ვიდრე ხალხთა ენები, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ცხოვრობდნენ“. როგორც ცნობილია, უძველეს დროში ხდებოდა ხალხთა დიდი გადასახლებები და მათი ენებიც, შლაიხერის აზრით, შორდებოდა ამოსავალ ენას. ისინი უნდა “გადახრილიყვნენ” ამოსავალი ენიდან, რადგან გადასახლებას თან სდევდა კლიმატისა და საცხოვრებელი პირობების შეცვლა. ამ ჰიპოთეზის დასამტკიცებლად შლაიხერს მოჰყავს მაგალითები ფლორასა და ფაუნიდან. მსოფლოს სხვადასხვა

ნაწილისათვის დამახასიათებელია ფლორისა და ფაუნის განსაზღვრული ტიპი, ასევე ენებისთვის – განსაზღვრული ტიპები ანუ ოჯახები.

ისევე როგორც ფრანც ბოპი, შლაიხერიც იმ აზრს იზიარებს, რომ ენა ბუნებრივი ორგანიზმია, რომელიც როგორც ყველა ბუნებრივი ორგანიზმი განვითარებას ემორჩილება: Auch die Sprache zeigt ein Werden, das im weiteren Sinne des Wortes Geschichte genannt werden mag.

ენები ადამიანის ნებით არ განისაზღვრებიან, არამედ თვითონ წარმოიშობოდნენ, გარკვეული კანონების მიხედვით იზრდებოდნენ, ვითარდებოდნენ, ბერდებოდნენ და კვდებოდნენ Die Sprachen sind Naturorganismen, die ohne vom Willen des Menschen bestimmbar zu sein, entstanden, nach bestimmten Gesetzen wuchsen und sich entwickelten und wiederum altern und absterben (Compendium der vergleichenden Grammatik der indogermanischen Sprachen 1861) ამის გამო მას მიაჩნია რომ ენათმეცნიერული კვლევის მეთოდი უნდა განსხვავდებოდეს ჰუმანიტარულისგან, კულტურის მეცნიერებების მეთოდებისგან ანუ საბუნებისმეტყველო და ზუსტი უნდა იყოს: Demzufolge ist auch die Methode der Linguistik von allen Geschichtswissenschaft total verschieden. Ihre Methode ist im Ganzen und Allgemeinen dieselbe wie die der übrigen Naturwissenschaften (Sprachvergleichende Untersuchungen 1850, BdII, Bonn).

იგი აყალიბებს გენეტიკურ ორსაფეხურებრივ თეორიას ჰეგელის ფილოსოფიაზე დაყრდნობით: ენების პრეისტორიულ, წინარე ისტორიულ ანუ ისტორიამდელ ეპოქაში განვითარების, ფორმებით გამდიდრებისა და მათი ფორმების დაშლის თეორიას ისტორიულ ეპოქაში.

შლაიხეი დარვინს ეყრდნობა ასევე მის ცნობილ გენეალოგიურ ხის თეორიაში: “Wir stellen Stammbäume auf, wie die Darwin für die Arten von Pflanzen und Thieren versucht hat” (Compendium)

კრიტიკა: ენა არ განიხილება უპირველესად როგორც ადამიანის ინდივიდუალური უნარი, როგორც ადამიანური ქმნილება არამედ იგი მიჩნეულია ბუნებრივი ორგანიზმის და კერძოდ სამეტყველო ორგანოებისა და ტვინის თვისებად, რომელიც ისევე როგორც სხვა ორგანიზმები ზრდისა და დაშლის კანონზომიერებებს, რაც თავისთავად მცდარი აზრია.

7.4. გენეალოგიური ხის თეორია

გენეალოგიური ხის თეორიაში უდიდეს როლს თამაშობს წინარეენის ცნება. შლაიხერის აზრით “ყველა ენები, რომლებიც წარმოიშვნენ ერთი წინარე ენიდან, ქმნიან ენობრივ გვარს ანდა ენობრივ გენეალოგიურ ხეს, რომელიც შემდგომ იყოფა ოჯახებად ანდა ენობრივ განშტოებებად.


ენებს, რომლებიც პირველად წარმოიშვნენ წინარეენიდან შლაიხერი ძირებს უწოდებს. ასეთი ენები სხვადასხვა ენებად იყოფიან, ხოლო ისინი თავის მხრივ კიდევ დიალექტებად, ხოლო დიალექტები ქვედიალექტებად ანუ კილოებად.

შლაიხერი აზრით შეუძლებელია დადგინდეს ერთი წინარე ენა მსოფლიოს ყველა ენისთვის. ამიტომ საჭიროა იმის დაშვება, რომ არსებობდა მრავალი წინარე ენა. ამასთან, რადგან მრავალი ენა გაქრა ან ქრება, შესაძლებელია, რომ თავდაპირველად უფრო მეტი ენა არსებობდა, ვიდრე ახლა.

ინდოევროპული ენების განვითარების აღწერისთვის, მათი ისტორიული კავშირების დადგენისთვის ის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა გენეალოგიურ ხეს ყოველ მის განშტოებაში. თავის კომპენდიუმში ის განიხილავდა ძველ ინდურს, ძველ ირანულს, ძველ ბერძნულს, ძველ იტალიკურს, ძველ კელტურს, ძველ სალავურს, ლიტვურს და ძველგერმანულს, მათ ფონეტიკასა და მორფოლოგიას.

ინდოევროპული ენების განვითარების გზა შლაიხერმა გრაფიკულად წარმოგვიდგინა “გენეალოგიური ხის “სახით, რომლის საერთო ძირი თავდაპირველად ორ ძირითად შტოდ იყოფა:

აქ შლაიხერის გენეალოგიური ხე:



პირველად გამოიყო სლავურ- გერმანიკული, რომელიც მოგვიანებით დაიყო გერმანიკულსა და სლავურ- ლიტვურზე, ხოლო დარჩენილი ნაწილი წინარე ენისა გაიყო ბერძნულ-იტალურ-კელტურსა და არიულზე, რომელტაგან პირველი დანაწილდა იტალურ-კელტურსა და ალბანურ-ბერძნულზე, ხოლო მეორე ანუ არიული დიდხანს რჩებოდა დაუყოფელი.

უფრო გვიანდელ პერიოდში სლავურ –ლიტვური დაიყო ლიტვურსა და სლავურზე, ხოლო არიული- ირანულსა და ინდურზე, იტალურ-კელტური კი კელტურსა და იტალურზე.

ენეალოგიური ხის საშუალებით წარმოდგენილი ისტორიის სურათის დამამტკიცებელია შლაიხერის აზრით დებულება იმის შესახებ, რომ რაც უფრო აღმოსავლეთით ცხოვრობს ხალხი, მით უფრო უძველესია მისი ენა, ხოლო რაც უფრო დასავლეთით, მით უფრო მეტია მასში ახლის ელემენტები და მით ნაკლებად შეინარჩუნა მან ძველი სახე. ყველაზე უფრო აღმოსავლეთით ინდოევროპული ენებიდან არის ძველი ინდური და ამიტომაც სანსკრიტი აღიარებულია როგორც ინდოევროპულ ენასთან ყველაზე ახლო მდგომ ენა.

ავგუსტ შლაიხერი ცდილობდა დაედგინა ყველაზე უფრო ზოგადი კანონები ენის განვითარებაში. ამასთან იგი განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ბგერითი მხარის შესწავლას, ინდოევროპულ ენეთა ზოგადი ფონეტიკური კანონების შექმნას. მისი საბოლოო მიზანი კი, როგორც აღვნიშნეთ, იყო წინარე ინდოევროპული ენის აღდგენა რეკონსტრუქციის საშუალებით და განვითარების ზუსტ და მუდმივ კანონებზე დაყრდნობით. შლაიხერის აზრით, ამ კანონებზე დაყრდნობით შესაძლებელია ისტორიულად დადასტურებული ენებიდან გადავიდეთ მათ უძველეს ამოსავალ ფორმაზე, რომელიც წარმოცინდება ამ ენებში არსებულ დამთხვევებში. ავგუსტ შლაიხერი მის მიერ აღდგენილი წინარე ინდოევროპული ენის აღდგენილი ფორმების რეალობასი და სიზუსტეში იმდენად იყო დარწმუნებული, რომ მან დაწერა ჰიპოთეტურად აღდგენილ ენაზე არაკი ცხვრისა და ცხენის შესახებ *Avis akvavis ka –(Das) Schaf und (die) Rosse. Eine Fabel in indogermanischer Ursprache. 1868.*

შლაიხერი სანსკრიტს თვლიდა ინდოევროპულ ენათაგან ყველაზე არქაულ ენად და ამიტომ მის მიერ აღდგენილ წინარე ენას ჰქონდა სანსკრიტის იდეალიზებული სტრუქტურა. მაგალითად, იგი თვლიდა, რომ სანსკრიტის ვოკალიზმი (ხმოვანთა სასტემა) აბსოლუტურად შეესაბამებოდა ინდოევროპული უძველეს ტიპს. ამ დროს იგი მხედველობაში არ იღებდა e/O-ს ცვალებადობას ინდოევროპულ ენებში და წარმოადგენდა ინდოევროპული წინარენის ვოკალიზმს როგორც არაჩვეულებრივად სწორსა და სიმეტრიულს (3 - a, i, u ბგერებისგან შემდგარს). ხოლო მოკლე e, o, a ხმოვნებს იგი განიხილავდა როგორც შემთხვევით ან წინარეინდოევროპული ა-ს შეფერილობებს.

ტექსტის შექმნა აღდგენილ ენაზე სანსკრიტის კონსონანტიზმისა და ვოკალიზმის სისტემების თავისებური იდეალიზაციის საფუძველზე ვულგარიზებას წარმოადგენდა, მაგრამ თვით გენეალოგიური კლასიფიკაციის მცდელობა წინ გადადგმული ნაბიჯი იყო.